ვიცავ იმას, ვის ხელშია მუჰამედის სული, მისი ჭურჭლების რაოდენობა ცის ვარსკვლავებზე და პლანეტებზე მეტია

გდმოცემულია აბუ ზარრისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ვუთხარი: ო, ალლაჰის შუამავალო რა შეგიძლია მითხრა აუზის ჭურჭელზე? მან თქვა: " ვიცავ იმას, ვის ხელშია მუჰამედის სული, მისი ჭურჭლების რაოდენობა ცის ვარსკვლავებზე და პლანეტებზე მეტია, როგორც ვარსკვლავები და პლანეტები ბნელ ღამეში. ისინი სამოთხის ჭურჭლებია, ვინც მათგან დალევს, აღარ იგრძნობს წყურვილს. მასში ორი არხი სამოთხიდან მოედინება, ვინც მისგან დალევს, აღარ იგრძნობს წყურვილს, მისი სიგანე ტოლია სიგრძის, ამმანიდან აილამდე, მისი წყალი რძეზე უფრო თეთრი და თაფლზე უფრო ტკბილია".

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

დაიფიცა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ მისი აუზის ჭურჭელი განკითხვის დღეს იქნება იმაზე უფრო ბევრი, ვიდრე ცაში ვარსკვლავებისა და პლანეტების რაოდენობაა, ეს ჩანს ბნელ ღამეში, როდესაც მთვარე არ არის, რადგან მთვარიან ღამეებში ვარსკვლავები არ ჩანს მკაფიოდ მთვარის შუქის და ღრუბლის გამო, რადგან ღრუბლების არსებობა ხელს უშლის ვარსკვლავების დანახვას, ასევე დაიფიცა, რომ სამოთხის ჭურჭელი ისეთია, რომ ვინც მასში არსებულ სასმელს შესვამს, აღარასდროს იგრძნობს წყურვილს, და ეს იქნება მისი უკანასკნელი წყურვილის გამოცდა. და მისი აუზი ივსება სამოთხიდან მომდინარე ორი წყაროთი, რომლის სიფართე მისი სიგრძის ტოლია; ამ წყაროს კუთხეები ერთმანეთის თანაბარია, მისი სიგრძე შეესაბამება მანძილს, რომელიც არის ამანსა და აილას შორის; ამანი არის ქალაქი ბალყაში, რომელიც მდებარეობს შამში, ხოლო აილა არის ცნობილი ქალაქი შამის მხრეს აუზის წყალი ბევრად თეთრია რძეზე, ხოლო მისი გემო თაფლის გემოზე უფრო ტკბილია.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee